1930

# № ნიანგი 11



12 694

იკვეხნიდა კულაკი:
— „მაქვს ისეთი ზარები,
ვერც დაამტვრევ, ვერც მოხსნი
და ვერც მიეკარები.

რა წამს თვალით ვანიშნებ—
მზად არიან ისინი...
ხან მოისმის გინება,
ხან ბოროტი სისინი!"

ასე ჰქუხდა ბობოლა
შხამიანი წადილით,
მაგრამ... თითონ მოხსნეს და
ჩაუმწარდა ქადილი!

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук Г...

# დ ა ი ქ ვ ე ხ ო ს!

მეც ამ ლექსით ეხლა
მოგიყვებით მართალს...
რომის პაპზე გეტყვით—
„ღვთის საქმეს“ რომ მართავს
მეორე ხელით კი
მშრომელ ხალხსა ქურდავს
და სტომაქში გზავნის
მთელ-მთელსა და ხურდას.
„უწმინდესმა“ პაპმა
რაც მოჩმახა იცით;
შეაჯერა თვისნი
ვედრებით და ფიცით.
დაესარჩლა ჩვენს ღვდლებს,
მოლოზნებს და ბერებს,
რომელთაც თვით პაპი
ხშირად გლეჯდა წვერებს,
ვისაც დღესაც ხდევნის
საცა მოახელებს,
ვის რჯულშია მუდამ
აფათურებს ხელებს.
რასა მღერის ასე
ეს ბებერი მელა?
ცოფიანი მხეცი
დღეს რამ გაახელა?
თქვენ არ იცით? გეტყვით-
მას რაცა აქვს გულში:



საქმე ოქროშია,
საქმე არის ფულში.
ფული უნდა.. მიტომ
შეაჯერა ყველა!
ფული, მხოლოდ ფული.
ფულმა გაახელა!
და აშალა ყვავმა
მთელი თავის ხროვა...
საცა ღვდლები ჰყავდა,
ყველა შეაგროვა.
დაიჩოქა ლოცვით
მთელი თავის ჯარით
და დაგვიწყო წყევლა
ხატითა და ჯვარით...
ამინ!.. თუ კი გასჭრა
ღრიანცელმა მათმა...
თქვენთან დაიკვეხოს
რაც დაგვაკლოს ხატმა!
ამინ! გვწყევლოს პაპმ
და იმისმა ხროვამ,
ვნახოთ ვის დაუდგეს
წუხილი და გლოვა!
ვინც მშრომელ ხალხს ლოცვით
ატყუებს და ქურდავს,
მობრძანდეს და მალე,
ჩავაბარებთ ხურდას!

ჭინჭრაქა.

## სადმელელი ტარიელ

სალამი და გამარჯვება
ურთმელიძე მიხას!
კომკავშირის სახელს არცხვენს,
საქმე ცერად მიჰყავს.
წელს ჰკიდია გრძელი ფიშტო,
თავადივით დადის.
ზოგს ურტყამს და ზოგს აგინებს
სხვასაც რას არ სჩადის!
ატრიალებს ფიშტოს, ისვრის
არცა მალავს თვითონ.
ჩვენ გმირს პასუხს არა სთხოვენ —
გაგულისდა მიტომ.
ამას კიდევ არა ჩივით,
თავი კედელს ურტყას!
მას აგიჟებს რევოლვერი
წელს რომ შემოურტყამს.
გარეთ „მტერს“ რომ ველარ ხვდება,
ველარ უძლებს ბნედას
და უწყალოთ ურტყამს თავის
ღონე მიხდილ დედას.
ვაშა ბიჭო! ტაში ბიჭო!
მკლავი როგორ გშვენის!
მთელ ქვეყანას მოეფინა
ვაჟკაცობა შენი!
ვაშა ბიჭო! ურტყი დედას
რომ გაგზარდა „გმირი“...
ახი არის, რისთვის შობა
შენისთანა პირი!
სოფელსაც ხომ გაუჩინა
ხათაბალა-ჭირი
და თვითონაც შეიძინა
მწუხარება ხშირი.
ვაშა, „დევ-გმირს“ კომკავშირელს,
ტარიელსა რომ ჰგავს.
რაიკომო, რკინის ცოცხი
მოუმარჯვე ნავავს!

კრაზანა.

## მიკიტანი

— ამბობენ, ქრისტემ წყალი ღვინოთ აქციაო და ეს ამბავი ყველა სულელს უკვირს. ვა, რა დიდი რამე უნდა იმას, რომ წყალი ღვინოთ აქციონ? რამდენი ბოჭკა წყალიც მე ღვინოთ გამისაღებია. იმდენი სიცოცხლე მისცეს ჩემს ჯანს. ჩემი ამბავი რომ ხალხმა გაიგოს, მეც ქრისტედ გამომაცხადებდა.

## ერთი ანდაზის არ იყოს

გულეიკარ-კეთილარში
ქეიფია ოხრათ.
ჩვენი ვასო კეკელიძე
ეპოშია ნოქრად.
როცა მოდის საქონელი
ჯერ ძმა-კაცებს აძლევს.
სხვას არ რჩება არაფერი, —
თუნდა დაედებ ნაძლევს.
ის წევრობას არ დაგიდევს,
არც იმას — ვინ წვალობს.
ვინც ხაჭაპურს გაუმზადებს,
ვასო იმას წყალობს.
ვისაც მეტი ქონება აქვს
ვასოც მისთვის გალობს,
ღარიბმა კი თუნდა თავი
კედელს შეახალოს.
წვალებსა და ინდაურებს
ანადგურებს ვასო.
— „ვინც რა უნდა თქვასო —
წისქვილმა კი ფქვასო“.
პარმენი და ნიკანდროც
არ დასძრავენ ხმასო.
რას მიქვია რევიზია,
ვინ იწუხებს თავსო!
ასე მღერის კეკელიძე
მიტომ არის მსუქნად.
ვასოს ეპო გაუხდია
ძმა-კაცების დუქნად.
კამათელსაც ათამაშებს
როცა არის უქმად,
ხან ეპოდან, ხან ნარდიდან
მოდის ტკბილი ლუკმა.
მისცხე, მისცხე, იქეიფე,
დრო ატარე ვასო!
„ვინც რა უნდა თქვასო,
წისქვილმა კი ფქვასო“...

გლეხის შვილი.

# გაზეთი სოფელს



მთელი თვის გაზეთები
ერთად მოაქვთ ზვინებათ,
ზოგი იფანტება და
შარა-გზას ეფინება.

გაკვირვებით შესცქერის
ამ „ზვინს" გლეხი-მკითხველი...
მაგრამ თავს ვინ იტკივებს,
ვინ არის გამკითხველი!

# სრულიად საიდუმლოთ

### სოფ. ზედა-სიმონეთის კოლექტივის ხელმძღვანელს ლეონტი უკლებას

ძამია ლეონტი! ისე გაიხარა ყოველ-მა შენმა მოკეთემ, როგორც შენმა ამბავმა მე გამახარა. თურმე გლეხების დიდი ნაწილი შენი წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ ნასტრაქნიკალ ჩიხორიაშვილის და მიხა სულამანიძის დახმარებით მაინც წამოსკუპებულხარ კოლექტივის სათავეში. ვითომ არ გეკუთვნოდა ხელმძღვანელობა თუ? შენოდენი ამაგი ვის მიუძღვის სოფლისადმი? შენ არ იყავი, რომ ორი-სამი დღით ადრე, სანამ კოლექტივი ჩამოყალიბდებოდა, ბეულის ხეები გაანადგურე და საზეითალმანო ქონებიდან ხე-ტყე მიითვისე?

გავიგე, რომ ამ სამი თვის წინად რაღაც კეთილი საქმისთვის ერთი წლით პირობითი სასჯელი მოუნიჭებიათ შენთვის. ალბად მაშინ მიხა და ნიკანდრო არა ყოფილან შენთან ასე დაახლოვებული, თორემ ვერც პირობითი სასჯელს შეგკადრებდა ვინმე.

ნიკანდროს ჩემი სალამი გადაეცი და მადლობა უთხარი იმ ჭკვიანი პოლიტიკისთვის, რომელსაც ის სოფლად ატარებს და რომლის წყალობით რამოდენიმე კომლმა კოლექტივიდან გასვლა არჩია. თურმე ასე დამუქრებია გლეხებს: ვინც კოლექტივს თავს დაანებებს, ვაგონში ჩავყრი და ციმბირში თავს ვაკვრევიებო.

ასე ამბობენ, სოფელი ნატრულობს იმას, რომ თქვენ არ იქნეთ კოლექტივის სათავეშიო. რა უყოთ მერე? რა ანგარიშ გასაწევია იმათი სურვილი? თქვენ ხომ გინდათ? ჰოდა, იყავით კიდეც... საქმეს მაინც არაფერს აკეთებთ. ტყუილად ყოფნას კი რა სჯობია. მალე მეც გეწვევი. შენ რომ ძველი ღვინოები გაქვს, ჩემს ჩამოსვლამდე არ გაყიდო. დავლიოთ ერთი მამა-პაპურად, შენებურად.

კიდევ მოკითხვა და ნახვის ნატვრა მიხას და ნიკანდროს. მშვენიერი სამება ხართ, მე და ჩემმა გამჩენმა!

ძმურათ ხელს გართმევ შენი კალია.

## უპატრონო სამკითხველო

ნათურხოვის სამკითხველოს
საქმე მართლა ცუდია.
არც წიგნები, არც ქონება
არსად არა სწერია.
აღარც კარი, იატაკი,
არც ფანჯარა-ჭერია.
გაზეთები დაფრინავენ—
ვერვის დაუჭერია.
ტკბილად ხვრინავს მისი გამგე
ეპიფანე ბერია.
კარებს დიდი კლიტე ადევს
წესად ესა სწერია.
არც კუთხე და არც წრეები,
არც ანბანის სწავლება.
მტვრისგან სულ არ შეიძლება
წიგნზე ხელის წავლება.
ასეთ გამგეს მოუხდება
მართლა ჭკუის სწავლება!

თაქიანი.

## დამშვიდდა

— ექიმო, ჩქარა უშველეთ ჩემს მდგმურს, თორემ საცაა ფეხებს გასჭიმავს.

— ნუ გეშინიათ,—ის ისეთ პატარა ოთახში სცხოვრობს, რომ ძალიანაც უნდოდეს— ფეხებს ვერ გასჭიმავს

## თავი იმართლა

— რას შვრები, კაცო, რატომ ჰკლავ მაგ დედაკაცს? აკი ამბობდი, რომ ჩემ ცოლს ხელსაც არ ვაკარებო?!

— ხელს როდის ვაკარებ... ვერ უყურებ, ჯოხითა ვცემ!?.

# გახსენით გზა!



ხედავთ, ბიუროკრატიზმი
არ მოგვეშვა, არა?!.
გახსენით ეს კარი,
რაც ვიცადეთ, კმარა!

შეუტიოთ ერთხმად
ძველის ადათს და წესებს—
ბიუროკრატიზმის
შტოებსა და ფესვებს.

ვინც აბრკოლებს საქმეს
დაუნდობლად მოვცხოთ.
რკინის ხელით ყველა
გარედ გამოვცოცხოთ.

# თავსატეხი საიდუმლო

ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომლითაც აქებდენ სოფელ შვინდიანის კოოპერატივის გამგეს. წერილში ეწერა: ერთი თვის განმავლობაში ასი თუმნის ეკონომია გასწია, რისთვისაც დიდი მადლობის და დაჯილდოვების ღირსიაო.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს და სოფელს. კოოპერატივების გამგეები ხომ შურით აღივსენ.

ცეკავშირმა დიდი მსჯელობის შემდეგ გადასწყვიტა ადგილობრივ გაეგზავნა რევიზია, შეემოწმებინა ეს ცნობა და თუ მართალი აღმოჩნდებოდა, შვინდიანის კოოპერატივის გამგე დაეწინაურებინა და თბილისში გადმოეყვანა უკეთეს ადგილზე.

— როგორ მოახერხეთ, ამხ. თედო, ასი თუმნის ეკონომიის გაწევა ერთ თვეში? შეეკითხა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, როცა საქმეს შეუდგა.

— როგორ მოვახერხე და ჭკუით. თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქმის გაკეთებას ჭკუა უნდა, თორემ ისე აჯაფსანდალი გამოვა.— უპასუხა თავმოწონებულმა თედომ და ღიმილით გადახედა.

— სხვა კოოპერატივები სულსა ღაფავენ და შენ ისეთი რა გააკეთე, რომ ასი თუმნის ეკონომია გასწიე?

— ამას რა დიდი ცოდნა უნდა, — დაიწყო თედომ, რომელსაც სარევიზიო კომისიის წევრები გაკვირვებული შეჰყურებდენ, —საჭიროა მხოლოდ ხარჯები არ გასწიო, მორჩა და გათავდა!

— მაგალითად?..

— მაგალითად, ქალაქში ხარ წასასვლელი საქონლის სასყიდლათ, ცხენის ქირისათვის კი საჭიროა ხუთი მანეთი. ადექი, ფეხით წადი და ეს ხუთი მანეთი უკან დარჩება. აი, ნახეთ ჩემი დავთარი: ერთ მხარეს მიწერია რა ხარჯები უნდა გამეწია, ხოლო მეორე მხარეს მიწერია ნამდვილად რა ხარჯი გავწიე და რამდენი ეკონომია დარჩა. აი, უყურეთ:

— ქალაქში საქონლის გასასყიდლათ რომ ავტომობილით წავსულიყავ, უნდა დამეხარჯა ოცდახუთი მანეთი, მაგრამ რა კი ცხენით წაველი— დავხარჯე ხუთი მანეთი და ამნაირად ოცი მანეთის ეკონომია გავწიე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!

— მომითმინეთ, ჯერ სად არის, ქვევით უყურეთ: მეორეთ კიდევ რომ წავსულიყავ ქალაქში, უნდა დამეხარჯა ოცდახუთი მანეთი ავტომობილის ქირა. მაგრამ არ წაველ, რადგან საქმე არაფერი მქონდა და ეს ფულიც უკან დარჩა. ახალი აბრა არ გავაკეთებინე —ესაც შენი ოცი მანეთის ეკონომია... ქალაქში რომ ვიყავ, უვარგისი საქონელი მაძლიეს, მაგრამ არ ვიყიდე, რომ მეყიდა, ოც თუმანს მაინც ვიზარალებდი. მაშასადამე, ესაც შენი ოცი თუმანი ეკონომია... ძმა-ბიჭები გადამეკიდენ დაგვპატიჟეო, მაგრამ არ დავპატიჟე და ერთი ხუთი თუმანიც ამნაირად გადავარჩინე, საშეფო სოფელს ყოველთვიურად ათი მანეთის ჟურნალ გაზეთებს და წიგნებს ვუწერდი, ეხლა შევუწყვიტე და აქედანაც ყოველთვიურად ათი მანეთი ეკონომია გავაკეთე.

— ეს ეკონომია კარგია რომ გაგიწევია, მაგრამ რა უყავი, დახლში არაფერი გაქვს და ყაფაზები კიდევ გამოცარიელებულია?

— მაგაზე, სწორე გითხრათ, მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ალბად, რაღაც „სეკრეტია“..

თავფქვილაძე.

## უფრო სწორი გზით

— ვისი საშუალებით მოეწყვე სამსახურში—ბირჟისა თუ კავშირის?

— არა, ბიძაშვილის...



# თავს იტყუებს




— ამხანაგო თავმჯდომარე, ეხლა უკვე თვის ბოლოა და შენი კალენდარი 19 რიცხვზე რათ გაყინულა?

— არ ჩამოხიოთ... ვადამდე საქმე ვერ შევასრულე და თუ მისაყვედურეს, ვიტყვი კალენდარმა მომატყუა!

# „საქმე მოგვარებულია“

—„ვინაიდან ზესტაფონს არ ეღირსა განათება მიუხედავად იმისა, რომ ელსადგური მეოთხეთ დაიდგა, ადგილობრივმა აღმასკომმა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადასწყვიტა შეიძინოს საკუთარი მთვარე“.

რადიო-კორესპონდენტი № 10

ზესტაფონის აღმასკომში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. შიგნით რომ ხალხი არ სტევია, გარედ ქუჩაში იმდენია თავმოყრილი, რომ ნემსის ჩასაგდები ადგილი არსადაა.

— რა ამბავია? — კითხულობს რომელიღაც დაფრთხალი მოქალაქე.

— რა ამბავია და, სამკვდრო - სასიცოცხლო საკითხი წყდება... არ გესმის რა თავმოძულებით გაჰყვირის მომხსენებელი?!

აღმასკომის დარბაზიდან მკაფიოდ მოისმის მომხსენებელის სიტყვები:

— ამხანაგებო! დღევანდელი შეკრების მიზანია გამოვნახოთ ზომები ქალაქის განათების საკითხის მოსაგვარებლად. ოთხჯერ დავდგით ელსადგური და ოთხივეჯერ პირში ჩალაგამოვლებული დავრჩით. რაც უფრო ვცდილობთ ელსადგურის გაუმჯობესებას, მით უფრო იფუშება სინათლე...

მომხსენებელმა რამოდენიმე საათი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ განათებას და კერძოთ ზესტაფონში, სადაც დაღამების შემდეგ სახიფათოც ხდება სიარული სამიკიტნოდან ამომძვრალ „მხიარულ და შარის ხასიათზე“ მყოფ ძმა-ბიჭების სიმრავლის გამო.

მომხსენებელი ისეთი გულისმომკვლელ სიტყვებით ახასიათებდა განათების უმწეო მდგომარეობას, რომ მაყურებელთა უმრავლესობა თვალთაგან ცრემლების მდინარეებს ღვრიდა. რომ უბედურება არ მომხდარიყო და ხალხი ამ აზვირთებულ ცრემლის მდინარეში არ დამხრჩვალიყო, კრების თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა დამსწრეთ საქმიანი წინადადებები შემოეტანათ.

— გავაკეთოთ სადგური მეხუთეთ! — გაისმა ხმა.

— ეგ არ გვიშველის! — მიაძახა ყველამ — მეხუთეც მალე დაიფუშება!..

მრავალი წინადადება იქნა შემოტანილი, მაგრამ ყველა უარყვეს. თითქმის იმედი ჰქონდა ხალხს დაკარგული, როცა ვიღაც მადლიანმა კაცმა შემოიტანა შემდეგი წინადადება: — „დაევალოს ზესტაფონის აღმასკომს შეიძინოს საკუთარი მთვარე, რომელიც ყოველ ღამით გაანათებს ქალაქს. მთვარის შეძენა დიდ ეკონომიას მოგვცემს და ამას გარდა აგვაშორებს „კონტაქტების“ საშიშროებას, რომელიც თან სდევს მანტიორ მ. კიკნაძის მიერ შესრულებულ გაყვანილობას“..

წინადადება ერთხმად და სიხარულით იქნა მიღებული. განათების საქმე ზესტაფონში მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს. ეხლახან ერთი პატარა საქმე დარჩა გასაკეთებელი: საჭიროა მხოლოდ მთვარის შეძენა.

— „ღმერთი რავა გაწყრება, რომ ამ პატარა მიზეზმა დააბრკოლოს საქმის მოგვარება!“ — დაიმედებული არიან ზესტაფონის მოქალაქენი.

ლოდი.

## გამოცანა

— პირველად პეტრემ გაფლანგა ორასი თუმანი, მეორეთ— ასი თუმანი, მესამეთ— სამასი თუმანი. რა მოჰყვება ამ მესამე გაფლანგვას?

— დახვრეტა.

— არა.

— მაშ ათი წლიწადი ციხე მაინც არ ასცდება!

— არა, არც ციხე.

— მაშ რა მოჰყვება?

— მეოთხე გაფლანგვა.

## 20 დღეა

უკვალოდ დაიკარგა აგრო-ტეხნიკი მ. ჭანუყვაძე, რომელსაც მუშაობა უნდა ჩაეტარებია „წითელ ოქტომბრის“ კოლექტივში. ნიშნები შემდეგია: არც დაბალი— არც მაღალი, ფეხზე ჩექმა, ტანზე ნაბადი.

ნიგვზიანის თემი.

# საქმე გააკეთეს



— ჩვენი სოფლის მუშაკები ძალიან ემზადებიან თესვის ჩასატარებლად!
— რაღაც არა სჩანს!
— როგორ თუ არა სჩანს? ინსტრუქციები ისე გაიზეპირეს, როგორც დიაკვანმა სახარება!

# შაქარას თავგადასავალი

—პა-პა-პა შენი ჭირიმე, რამოდენა სახლები, რამოდენა მაღაზიები, რამოდენა ელექტრონები ყოფილა ამ ქალაქშია,— უნებლიეთ წამოიძახა შაქარამ, როცა სადგურიდან გლეხის სახლისკენ მიმავალ აელვარებულ ქუჩებს ჩაუარა.

მეორე დღეს შაქარა ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა ქალაქის თვითეულ კუნჭულსა და კუთხეს, ყველაზე უმეტესად კი მას ფუნიკულიორის აყირავებულ აღმართზე მიმავალი ვაგონები ანცვიფრებდენ.

— რას არ მოიგონებენ, შენი ჭირიმე! ხმა-მაღლა თავისთვის იძახდა შაქარა.

მისი სმენა უეცრად რაღაც ღრიანცელმა მიიზიდა. მიტრიალდა ქუჩაში და ერთი ალიაქოთი, მუშტი-კრივი დაინახა.

ბიჭოს! ეს ხომ კულაკების ხროვაა, ორი-სამი ღარიბი გლეხი გაუნაპირებიათ და ჯოხებით უშენენ თავპირში.

შაქარა აირია. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. როგორ, აქ შუა-ქალაქში, მზისით-დღისითაც არ იშლიან ეს მოსისხლეები თავისას?

შაქარამ სცადა მოემარჯვა შინდის ჯომბალი და ერთი თვალის დახამხამებაში გადაერია ღარიბი გლეხების მისაშველებლად.

— დაჰკარით, არ გაუშვათ ბიჭებო ეს სისხლისმსმელები. იძახოდა შაქარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხან ერთ კულაკს, ხან მეორეს ურტყამდა ხელმარჯვე კომბალს.

მოჩხუბრებს თავზარი დაეცათ. ყრიამული სხვანაირად შეიცვალა. გაისმა მილიციელის სტვენა, მოცვივდენ მეეზოვეები. აქვე გაჩნდა რამდენიმე წვერულვაშ გაპარსული ხალხი...

— დააპატიმრეთ, არ გაუშვათ! ვიღაც თავსისხლიანმა დაიძახა.

— რათაო, რითვინა! ცემაა და ცემა იყოს შვილოსა! მიაძახა შაქარამ.

ბოლოს სულ სხვა გამოირკვა. თურმე ქუჩაში რაღაც კინო-სურათს იღებდენ სოფლის დღევანდელი ცხოვრებიდან და ბრაზმორეულ შაქარას თავის და უნებურად შემოელახა რამდენიმე მსახიობი.

თავგატეხილს თავი შეუხვიეს. შაქარა კი გაანთავისუფლეს. მართალია აუხსნეს რაში იყო საქმე, მაგრამ მას მაინც არ სჯეროდა— და მკერდზე ხელისცემით გაიძახოდა.

— ჰაი, ერთი მილიცია არ ჩარეულიყო, მაშინ ცაჩვენებდით მაგათ სეირსა... მაგრამ ხელიდან გამისხლტენ... არა უშავს, კიდევ სადმე მოვახელთებ!

**ჭინჭარი.**

# ბორანთან

ღამეა. ადიდებულ მდინარეს ურმიანი გლეხები მიადგენ. მთვარის შუქზე მდინარის მეორე მხრიდან მოსჩანს ბორანი და კარავი, რომლის წინ ცეცხლი ანთია. ცეცხლის პირას მებორნე ზის.

— მებორნე! აუ, მებორნე! ბორანი გამოიყვანე! — უყვირიან მეორე მხრიდან ურმიანი გლეხები.

პასუხს არავინ იძლევა.

— დაყრუვდი, თუ რა დაგემართა? ჰეი, ბორანი გამოიყვანე!

— ვინ ხართ?

— გლეხები ვართ.. შინ ვბრუნდებით.. მალე ბორანი!

— რათ გინდათ ბორანი?

— ხომ არ გასულელდი? როგორ თუ რათ გვინდა?

— რაო, მლანძღავთ?! თუ ეგრეა, მეც მაგიერ პატივს გცემთ!

— კაცო, ვინ გლანძღავს.. პირიქით, შენს ქებაში ვართ.. შენისთანა კარგი მებორნე ჯერ ჩვენს კუთხეში არ ყოფილა.. შენ გენაცვალოს ჩვენი თავი!

— აი ეგრე! ეგ სიტყვა მომწონს!— გაიცინა მებორნემ.

გლეხები გამხიარულდენ. ელიან, საცაა ადგება და ბორანს გამოიყვანსო. ელიან, მაგრამ დრო გადის და ბორანი კი არ იძვრის. არც მებორნე აპირებს ადგომას. უზის არხეინად ცეცხლს და ყალიონს შეექცევა. მოთმინება დაკარგულმა გლეხებმა ისევ მიაძახეს:

— ბორანი! ბორანი გამოიყვანე!

— რა გაყვირებთ?

— ბორანი გამოიყვანე, გესმის თუ არა?! თორემ გიჩივლებთ..

— წადით, იჩივლეთ..

—აი წაგიღოს ეშმაკებმა! მალე მალე ბორანი, თორემ..

კიდევ დიდხანს უცადეს. საშველი აღარ იქნა. ყვირილისგან დაქანცულმა გლეხებმა გადასწყვიტეს დაიძინონ მაინც. გალაგდენ ურმებზე და გაეხვიენ ნაბდებში.

გათენდა.. პირველად გამოღვიძებულმა გლეხმა ისევ მორთო ღრიალი:

— ბორანი! ეშმაკებმა წაიღოს შენი თავი! მალე ბორანი!

გამოიღვიძეს დანარჩენებმაც, მორთეს ყვირილი. უეცრად დაინახეს,რომ მებორნე ნაბადში ეხვევა და დაძინებას აპირებს. განცვიფრებულმა გლეხებმა ისევ დაიწყეს ყვირილი.

— რა გაღრიალებთ!—შეუტია მებორნემ. — გეყოფათ, დაწყნარდით.. ბორანს ვერ გამოვიყვან, ჯაჭვი გაწყდა. შუადღისას მომიტანენ და მაშინ გამოგიყვანთ..

— მაშ აქამდი რათ არ გვითხარი? რათ გვაღრიალე ამდენი?

— მე რა მენაღვლება! ჩემთვის უკეთესიც იყო.. ღამე მარტო ვიყავი, ვერ დავიძინებდი — მგლების მეშინოდა.. თქვენთან ლაპარაკში კი ვერთობოდი! —ეს სთქვა მებორნემ, ნაბადში თავი ჩარგო და მიიძინა.

**ა. ზ.**

# სასწაულმომქმედი

მიყრუებულ სოფელ მადლიანის ჭორიკანა დედაკაცებს თავი მოეყარათ ყოფილ ეკლესიის გალავანში და ენებს იფხანდენ. ყველაზე განთქმული ჭორიკანა ქეთევანა, რომელსაც გლეხობამ „ცოცხალი გაზეთი“ უწოდა ზედმეტ სახელად, ყველაზე მეტ გულმოდგინეობას იჩენდა „ახალ-ახალი ამბების“ გამოცხობაში.

— პირჯვარი გადაიწერეთ, ქრისტიანებო— ამბობდა იგი,—სასწაულმომქმედი გამოცხადებულა ჩვენს სოფელში. თურმე უფლისაგან ისეთი ძალა აქვს მინიჭებული, რომ ყოველნაირ ნაგავს, ჩვრებს, ძვლებს და სხვა გადასაყრელ ძონძებს, სხვადასხვა ჯურის მანქანა იარაღებათ აქცევს. ეხლა „ეპო“-ს ეზოშია და გლეხებს ელაპარაკება.

ენატარტალა დედაკაცების ხროვა ამ ამბის გაგებაზე კიჟინით და ყაყანით „ეპო“-ს ეზოსაკენ გაექანა. გლეხები სხვადასხვანაირ ძონძებით, ყვარგის რკინეულობით და ძვლებით დატვირთულები „ეპო“-საკენ მიეშურებოდნენ. განკულაკებული, ყოფილი განთქმული კულაკი და სოფლის მყვლეფელი ივანე უმიყლაპიაშვილი გესლიანად დაცინოდა გლეხებს და ჩასისინებდა თავის დამქაშებს:

— სულელები არიან ჩვენი გლეხები, მე და ჩემმა ღმერთმა; ქალაქიდან ჩამოსული ვიღაცა ვიგინდარა სასწაულმომქმედათ მიაჩნიათ და ჩვენი პატივცემული ხუცესი იაკინთი კი, რომელიც უფლის მსახური და ყურმოჭრილი მონა იყო, ეკლესიიდან გააძევეს. „ეპო“-ს ეზოში ამ დროს გახურებული მუშაობა სწარმოებდა. ქალაქიდან ჩამოსული ამხანაგი და სოფლის ორი კომკავშირელი ვერა კი ასწრებდენ გლეხებისაგან ძველმანის მიღებას.

— ყველა ძველმანი თუ გამოდგება, რატომ ჩვენს ყოფილ კულაკს ივანე უმიყლაპიაშვილს არ მიიღებთ?—იოხუნჯა ვიღაცამ.

— ივანიდან ტრაქტორი არ გაკეთდება—ის გადასაგდები ნაგავია—დაუმატა მეორემ. სოფლის უღარიბესი გლეხი მიხა წამოიჭრა წინ და გაუწოდა ქალაქელ ამხანაგს ძველი, წითელი ზოლიანი კარტუზიანი ქუდი და ასეთივე დაგლეჯილი შარვალი:

— აი გენაცვალე—სთქვა მან—ეს ქუდი და შარვალი ჩემი ყოფილი პოლკოვნიკს ეკუთვნოდა. წითელი ჯარი რომ შემოვიდა ჩვენს სოფელში, სიწყალმა შიშით ვერ მოასწრო ჩაცმა და საგვლების ანაბარა გაიპარა სოფლიდან. ეს შარვალი მის ეზოში ვიპოვნე და გავცვითე—ეხლა მე აღარა მჭირდება—ტრაქტორისათვის კი საუკეთესო ნედლეულია.

— ჩვ სასწაულების მოხდენაში ისტორიაში ქრისტეც განა აჯობებდა ამას,—ლაპარაკობდა ჭორიკანა ქეთევანა.—წყალი ღვინოდ აქცია. ხუთი პურით ხუთიათასი კაცი გააძღო, მკვდარი ლაზარე გააცოცხლა. მაგრამ ნაგავიდან ტრაქტორის შექმნა—ეს ამბავი არავის გაუგია. რაღა ამ კაცმა უნდა მოახდინოს ასეთი სასწაული: ალბათ ვინმე ფოკუზნიკია და გლეხებს მასხარად იგდებს!

— თქვენი ქრისტე უძლური იყო, რადგან მეცნიერებას და ტეხნიკას ნაკლებად იყო განათლებული.—მიუგეს ქეთევანს კომკავშირელებმა. ასე ოხუნჯობით და სიცილ-ხარხარით დიდი ამბით დატვირთეს ოთხი ურემი ძველმანით და გაგზავნეს ქალაქში.

არ გასულა დიდი ხანი და სოფელს მოევლინა ქალაქიდან ტრაქტორი. როგორ, განა მართლა ნაგავიდან ტრაქტორი გაკეთდა?! უკვირდათ გლეხებს.—რასაკვირველია გაკეთდა! აქ არავითარი სასწაული არ მომხდარა. დღემდე ჩვენ ყოველ ოვარგის ძველმანს ვაგდებდით. ამ ძველმანით კი ბევრი საქმის გაკეთება შეიძლება. ჩვრებიდან კეთდება სხვადასხვა ხარისხის ქაღალდი. შუშა შუშის ქარხანაში მიდის, როგორც ნედლი მასალა. ძვლები ტყავეული და რეზინი—ახალი კალოშები, გასაკეთებლად, ძვლიდან ღილები და სხვა წვრილმანი კეთდება და სხვა. საზღვარგარეთიდან ამ ნაგავში ჩვენ გვიგზავნიან ტრაქტორებს.

ჭინკა

# ზოგიერთს კოჭებში ეტყობა



— ა? როგორ ატყობთ, ამხანაგებო? ეს აგრონომიც გაიქცევა?

— ისე წკიპათ დადის, რომ ეტყობა დიდი დღე არა აქვს მის ყოფნას ჩვენს სოფელში... გალსტუკი მაინც მოუშვას ცოტათი, თორემ გაიყრონჩა კაცი!

## ჩვენი გმირი

სოფელ წითელ ხევაში
—ახალდაბის თემია—
სცხოვრობს მინასიანი
ჩვენი საბჭოს წევრია.
კომკავშირშიც ბრძანდება
ნიკო დიდი კაცია...
მას ფეხებზე ჰკიდია
კოლექტივიზაცია.
კოლექტივში შევიდა,
შეიყვანა ხარია—
ძალით ფეხი მოსტეხა,
გააცხადა:—მკვდარია!
ლორი დაჰკლა, შეჭამა
თან დახძახა დელამ:
—კოლექტივს არ გავატან,
რადგან მე მსურს ყველაო!
გლეხების ცხრა თუმანი
წყლისთვის მოგროვილია
მიითვისა, გაფლანგა,
სთქვა:—ეს ჩემი წილია!
თემსაბჭომა ყველა ეს
კარგად იცის ძალიან,
მაგრამ პასუხს არა სთხოვს
ალბად არა სცალია!..

მებრძოლი

## კითხვა-პასუხი

**ჩათახში—კალ. ჯანელიძეს**

**კითხვა**—ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთ ხელფასს დაგვიანებით ვაძლევ, სპეცტანსაცმელს სრულიად არ ვაძლევ, შრომის ინსპექტორის მოწერილობანი აბუჩად ავიგდე, შრომის სასამართლო სამასხაროდ არ მყოფნის. გთხოვთ მაცნობოთ, რა ჯილდოს ღირსი ვარ?

**პასუხი**—ერთი მაგარი პანღურის. ჯერ-ჯერობით ამით დაკმაყოფილდით. ბოდიშს ვითხოვთ ამ მცირე ჯილდოსთვის.

**ჩათახელი**

## მიზეზი

— კაცო, რატომ ჩვენს კლუბში აღარ დაიარები?

— არა, ძმაო, დასამტვრევი ყბები არა მაქვს.

— როგორ, იქ ვინ გამტვრევს ყბებს?

— მთქნარებას რომ დავიწყებ, ვერ ვათავებ.

## უდარდელი

(კიცხი)

საკრედიტოში შეველი
ის არის ჩემი მშველელი.
ხერხი მოვძებნე გლეხების
ნაშრომის გამომწველელი.
ფულსა ვსესხულობ იაფად,
ვახესხებ უფრო ძვირათა.
ღარიბი გლეხი ამ ხერხით
გამიყვლეფია ხშირათა.
გამგეობა მყავს მფარველი
სხვა არ მიქვია ჩირათა.
ვჭამ ხანამ ხელს მიმართავენ,
(თუ არ გადმექცა ჭირათა).
მიყვარს უშრომლად ცხოვრებ.
ფულის ტრიალი ფიცხელი.
„შოლტო“, ამ შაირს გიგზავნის
შენი შოლტკარი კიცხელი.

## ახალი „დაბადებიდან“

გამგემ შვა მთავარი ბუღალტერი, მთავარმა ბუღალტერმა შვა საქმეთა მმართველი, საქმეთა მმართველმა შვა საქმის მწარმოებელი, საქმის მწარმოებელმა შვა მოლარე, მოლარემ შვა მოანგარიშე, მოანგარიშემ შვა მემანქანე, მემანქანემ შვა გამგის პირადი მდივანი ქალი, პირადმა მდივანმა გამგის „სულის“ შთაბერვით შვა ძე თვისი, რომელსაც სახელად უწოდა „პროტექცია“.



უკან სისხლი და ჟლეტა,
ცეცხლი, დაწვა, წამება,
მშრომელ ხალხის დაცინვა,
გინება და ძაგება.

ხალხის „სულით“ ვაჭრობა,
მრუშვა, ქრთამის ალება..,
ნეტავ შავი ჯალათი
ვისლა ექომაგება?